

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №238

2014 წლის 18 მარტი

ქ. თბილისი

სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

მუხლი 1

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს სამხედრო სამსახურის თანდართული დებულება.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 8 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

სამხედრო სამსახურის დებულება

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

თავი I

ძირითადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს სამხედრო სამსახურის გავლის წესებს:

ა) სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისათვის;

ბ) საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისათვის;

გ) სამხედრო სამსახურში გაწვეული საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

2. სარეზერვო სამხედრო სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება ამ დებულებით და მოქმედი კანონმდებლობით.

3. დებულების მოთხოვნები ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებზე, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში – მხოლოდ გაწვევით ვადიან სამხედრო მოსამსახურეებზე.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება №510 – ვებგვერდი, 07.10.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში სამხედრო მოსამსახურის სტატუსი გააჩნია პირს, თუ იგი დანიშნულია სამხედრო მოსამსახურედ სამოქალაქო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე.



5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სხვა უწყების სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების, მისი სასურსათო კმაყოფაზე აყვანის/მოხსნის, სანივთე ქონებით და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფის საკითხები განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5¹. საქართველოში მიმდინარე სამხედრო წვრთნებში, კურსებსა და სწავლებებში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლების საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებში განთავსების, სასურსათო კმაყოფაზე აყვანის/მოხსნის, სანივთე ქონებით და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების საკითხები განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან მის მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №651 – ვებგვერდი, 04.12.2014წ.

6. საქართველოს თავდაცვის ძალების შექმნისა და აღმშენებლობის კუთხით მნიშვნელოვანი თარიღების აღსანიშნავად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით წესდება ღირსშესანიშნავი დღეები.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

თავი II

სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესი

1. სამხედრო სამსახურის დაწყების დღედ ითვლება სამხედრო ნაწილის პირად შემადგენლობაში ან შესაბამისი სამხედრო უწყების სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის დღე, ხოლო დამთავრების დღედ ითვლება კანონით დადგენილი სამხედრო სამსახურის ვადის გასვლისა და სამხედრო ნაწილის პირადი შემადგენლობის სიიდან ამორიცხვის დღე.

2. სავალდებულო სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობა დადგენილია საქართველოს კანონით „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“.

3. სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები დებენ სამხედრო ფიცს, მათ ენიჭებათ სამხედრო წოდებები და განთავსდებიან ყაზარმებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო სამსახურის გავლის მთელ პერიოდში ეძლევა ორკვირიანი შვებულება, გარდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის მე-12 თვისა.

5. სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეს ოჯახური მდგომარეობის გამო ან სხვა მიზეზით შეიძლება დამატებით მიეცეს მოკლევადიანი შვებულება 10 დღემდე ვადით, რომელიც ამ თავის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შვებულების ანგარიშში არ ჩაითვლება.

6. მობილიზაციის, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, შვებულებასა და მივლინებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია სასწრაფოდ დაბრუნდეს თავის სამხედრო ნაწილში. თუ ეს შეუძლებელია, იგი უნდა გამოცხადდეს უახლოეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ან სამხედრო ნაწილში, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ ან სამხედრო ნაწილის მეთაურმა (უფროსმა) უნდა შეატყობინოს შესაბამისი სამხედრო ნაწილის მეთაურს (უფროსს).

7. (ამოღებულია - 17.07.2014, №455).

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივლისის დადგენილება №455 – ვებგვერდი, 18.07.2014წ.

თავი III

სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებები



1. სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები სამხედრო სამსახურს გადიან იმ სამხედრო ნაწილებში, რომლებშიც ჩარიცხული არიან სამტატო თანამდებობებზე მათი სპეციალობისა და სამხედრო წოდების მიხედვით.

2. სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები შეიძლება გაიგზავნონ სამსახურებრივ მივლინებაში:

ა) სამხედრო სასწავლებელში შესვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე, სამხედრო შეკრებებსა და კურსებზე სასწავლებლად;

ბ) სამხედრო შეკრებებისა და საბრძოლო მომზადებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების მომსახურების მიზნით;

გ) სამხედრო ტვირთის, საბრძოლო ტექნიკისა და ქონების დასაცავად და გასაცვილებლად;

დ) მართლმსაჯულების ორგანოებში გამოსაცხადებლად;

ე) სპორტულ და კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად;

ვ) სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა შემთხვევებში.

3. მივლინებაში გაგზავნა და დაბრუნება ფორმდება უფლებამოსილი მეთაურის (უფროსის) ბრძანებით. მისავლინებელ პირს მიეცემა სამივლინებო ფურცელი და შესაბამისი სამივლინებო ხარჯები.

4. სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები ვალდებული არიან დროულად გამოცხადდნენ მივლინების პუნქტში, მოახსენონ შესაბამისი სამხედრო ნაწილის (დაწესებულების) მეთაურს (უფროსს) თავიანთი გამოცხადების შესახებ, დადგნენ აღრიცხვაზე, ფულად და სასურსათო კმაყოფაზე, ხოლო მივლინების ვადის დამთავრების შემდეგ დადგნენ ვადაში დაბრუნდნენ თავიანთ სამხედრო ნაწილში. თუ მივლინებისას სამხედრო მოსამსახურე დგება სამხედრო ნაწილის (დაწესებულების) ფულად და სასურსათო კმაყოფაზე, სამივლინებო ხარჯებიდან ანაზღაურდება მხოლოდ ტრანსპორტირების ხარჯები. ტრანსპორტირების ხარჯები არ ანაზღაურდება, თუ სამხედრო მოსამსახურის ტრანსპორტირება ხდება შესაბამისი უწყების სატრანსპორტო საშუალებით.

თავი IV

სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურის რეზერვში ჩარიცხვა

1. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან სამხედრო მოსამსახურის დათხოვნა ხდება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირებს მიეცემათ სათანადო დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ხდება მათი აღრიცხვაზე აყვანა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც სამხედრო ვალდებულებას იხდის გაწვევით, სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან ვადამდე ითხოვენ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე ან 30-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის წარმოქმნისას. ამასთან, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) თუ სამხედრო მოსამსახურის მიმართ გამოიყენეს აღკვეთის ღონისძიება, გარდა პატიმრობისა და/ან გამოიყენეს არასაპატიმრო სასჯელი, გარდა თავისუფლების აღკვეთისა (გარდა განსაკუთრებით მძიმე, ან მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებისა), სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოსამსახურე დადგენილი ვადით აგრძელებს სამხედრო სავალდებულო სამსახურს;

ბ) თუ სამხედრო მოსამსახურეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ:



ბ.ა) სამხედრო მოსამსახურეს შეეფარდა არასაკმარისი სასჯელი, გარდა თავისუფლების აღკვეთისა (გარდა განსაკუთრებით მძიმე, ან მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებისა), სამხედრო მოსამსახურე აგრძელებს სამხედრო სავალდებულო სამსახურს, ამასთან, პატიმრობის პერიოდი სამხედრო ვალდებულების მოხდის პერიოდში არ ჩაითვლება;

ბ.ბ) სამხედრო მოსამსახურის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, სამხედრო მოსამსახურე აგრძელებს სამხედრო სავალდებულო სამსახურს, ამასთან პატიმრობის პერიოდი ჩაითვლება სამხედრო ვალდებულების მოხდის პერიოდში;

გ) თუ სამხედრო მოსამსახურეს შეეფარდა სასჯელი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ან სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა (მათ შორის, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის), მიუხედავად თავისუფლების აღკვეთის ვადისა, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან ვადამდე იქნება დათხოვნილი სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან მეორე დღესვე;

დ) სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოსამსახურის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას სამხედრო მოსამსახურე აგრძელებს სამხედრო სავალდებულო სამსახურს დარჩენილი ვადით. ამასთან, პატიმრობის პერიოდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამხედრო ვალდებულების მოხდის პერიოდში არ ჩაითვლება.

3. ამ თავის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირზე, თუ მას საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით შეუჩერდა სამსახურებრივი უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გამო.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

თავი V

სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

1. სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთო-საჯარისო წესდებებით.

2. თუ წვევამდელი, რომელიც „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე ან 30-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ექვემდებარება სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლებას, ან სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებას (გარდა ამ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებისა), გამოთქვამს სურვილს, ნებაყოფლობით მოიხადოს სამხედრო ვალდებულება და გაწვეული იქნება სამხედრო სავალდებულო სამსახურში, სამხედრო სამსახურს გაივლის კანონით დადგენილი სრული ვადით. თუ ასეთ სამხედრო მოსამსახურეს კვლავ წარმოექმნება სამხედრო სამსახურის გადავადების კანონით დადგენილი სხვა საფუძველი, სამხედრო მოსამსახურე, მისი სურვილის შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან ვადამდე იქნება დათხოვნილი რეზერვში ჩარიცხვით.

თავი VI

საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახური

1. საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებად ითვლებიან პირები, რომლებმაც მოიხადეს კანონით დადგენილი სამხედრო ვალდებულება ან უამისოდ და გადიან სამხედრო სამსახურს ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან მიმართებაში კონტრაქტის შესრულების ადგილად



ითვლება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ის ქვედანაყოფი, რომელშიც სამსახურს გადის სამხედრო მოსამსახურე.

3. საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასავლელად კონტრაქტის ფორმას და ვადას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი, კონტრაქტი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმეჯერ.

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურში საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ შესაბამის თანამდებობაზე მიიღებიან:

ა) რეზერვის რიგითებისა და კაპრალების, სერჟანტებისა და უმცროს ოფიცერთა შემადგენლობა;

ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი პირები;

გ) წვევამდებლები 18 წლის ასაკიდან;

დ) ქალები 18 წლის ასაკიდან.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

5. სამხედრო საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურში ჩარიცხვამდე ამ თავის მე-4 პუნქტში აღნიშნული პირები გადიან შერჩევას, ხოლო სამხედრო საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურში ჩარიცხვის შემდეგ – სპეციალურ კურსს/კურსებს. ამ პუნქტით გათვალისწინებული შერჩევა და სპეციალური კურსის/კურსების გავლა ხორციელდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან მის მიერ განსაზღვრული თანამდებობის პირის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დადგენილი პროგრამის შესაბამისად. სპეციალური კურსის/კურსების გავლას არ ექვემდებარებიან საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრული კატეგორიის პირები.

6. ამ თავის მე-4 პუნქტში აღნიშნული პირი, შერჩევის წარმატებით გავლის შემთხვევაში, ჩარიცხება საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურში და სპეციალური კურსის/კურსების გავლის შემდეგ ან უამისოდ ინიშნება თავისი კვალიფიკაციის და წოდების მიხედვით შესაბამის თანამდებობაზე, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, თავისი თანხმობით, დაბალ თანამდებობაზე.

7. (ამოღებულია - 21.03.2016, №133).

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 მარტის დადგენილება №133 - ვებგვერდი, 23.03.2016წ.

8. თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც სამხედრო ვალდებულებას იხდის საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სახით და კონტრაქტი ვადად შეუწყდა თავისი ინიციატივით, თვითნებურად ან ბრალეულობით:

ა) მისი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, იგი ჩარიცხება სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ამ შემთხვევაში, მისი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებში გაწვევიდან საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურში ნამსახურობისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვადების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს მისი გაწვევისას კანონით სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის დადგენილ ვადას;

ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის თაობაზე მისი ან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, იგი სამხედრო სამსახურიდან დაითხოვება და სამხედრო აღრიცხვაზე აიყვანება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად. ამ შემთხვევაში, იგი დაექვემდებარება კანონით სამხედრო სავალდებულო სამსახურისათვის დადგენილი სრული ვადით სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას;

გ) იგი დაითხოვება სამხედრო სამსახურიდან და ჩარიცხება რეზერვში, თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებში მისი გაწვევიდან კონტრაქტის ვადად შეწყვეტამდე გასულია არანაკლებ 3 (სამი) წლისა.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №501 - ვებგვერდი, 24.11.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.



9. საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობა და სოციალური დაცვის საკითხები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

10. საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის პერიოდი ჩაითვლება სამხედრო სამსახურის გავლის საერთო სტაჟში.

11. საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VII

სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის თავისებურებანი

1. სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

2. აქტიურ სარეზერვო სამსახურში გაწვეული პირი სარეზერვო სამხედრო მოსამსახურის სტატუსით და სამხედრო სამსახურის გავლისას (გაწვევა, დანიშვნა, თანამდებობრივი გადაადგილება, სამსახურიდან დათხოვნა, წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა, სოციალური გარანტიები და სხვა) მასზე ვრცელდება საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო მოსამსახურესთან ურთიერთობის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა.

3. „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში არ ჩაითვლება აქტიურ სარეზერვო სამსახურში გამოძახებული სამხედრო მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა საპატიო მიზეზით გაცდენილი დრო.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

4. საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე აქტიურ სარეზერვო სამსახურში ჩარიცხული პირი ვალდებულია, შესაბამის ქვედანაყოფში გამოცხადდეს დაუყოვნებლივ. ამ შემთხვევაში გამოცხადების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს.

5. საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, თუ აქტიურ სარეზერვო სამსახურში ჩარიცხული პირი ვერ ცხადდება შესაბამის ქვედანაყოფში, იგი ვალდებულია, გამოცხადდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების უახლოეს სამხედრო ნაწილში, რაც სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს იმ ქვედანაყოფის ხელმძღვანელს, რომელშიც ირიცხება აქტიურ სარეზერვო სამსახურში ჩარიცხული პირი, ხოლო, თუ პირი ვერ ცხადდება უახლოეს სამხედრო ნაწილში, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში და მიიღოს ზომები სამხედრო ხელმძღვანელობის ინფორმირების მიზნით. ამ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან შესაბამის ქვედანაყოფში სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხული პირის მიყვანას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალები.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

6. რეზერვისტის სტაციონარულ და ამბულატორიულ მკურნალობას სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მაისის დადგენილება №277 - ვებგვერდი, 01.06.2018წ

თავი VIII

საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესი

1. საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესი სავალდებულო და საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ანალოგიურია.



2. საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები სამხედრო ფიცის ნაცვლად კისრულობენ წერილობით ვალდებულებას საქართველოს სახელმწიფოსა და სამხედრო სამსახურისადმი ერთგულებისა და კანონმდებლობის შესრულების შესახებ. დადგენილია წერილობითი ვალდებულების შემდეგი ტექსტი:

„მე,

სახელი, მამის სახელი და გვარი

შევდივარ რა საქართველოს სამხედრო სამსახურში, ვკისრულობ ვალდებულებას, პირნათლად მოვიხადო მხედრული ვალი, კეთილსინდისიერად შევისწავლო სამხედრო საქმე, მტკიცედ დავიცვა სამხედრო დისციპლინა, შევინახო ჩემთვის მონდობილი სამსახურებრივი საიდუმლოება, შევასრულო საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, საერთო-საჯარისო წესდებისა და კონტრაქტის ყველა მოთხოვნა და მეთაურის ბრძანება, მტკიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო საქართველოს ინტერესების დასაცავად.

„_____“

(თარიღი, თვე, წელი) (ხელმოწერა)“.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

თავი IX

უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესი

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

1. უცხო ქვეყნის მოქალაქე სამხედრო სამსახურს გადის კონტრაქტის საფუძველზე, რომლის ფორმას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს შესაბამისი უწყების ხელმძღვანელი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

2. სამხედრო მოსამსახურე გადის სამხედრო სამსახურს კონტრაქტით დადგენილი პირობების დაცვით. იგი ინიშნება, როგორც წესი, სამეთაურო, საშტაბო თანამდებობაზე ან კონსულტანტად.

3. უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც საქართველოში გადის სამხედრო სამსახურს, ვალდებულია, შეასრულოს საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა, საერთო-საჯარისო წესდებები და კონტრაქტის მოთხოვნები.

4. უცხო ქვეყნის მოქალაქეს სამხედრო სამსახური ეთვლება წელთა ნამსახურობაში.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

5. სამხედრო მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) შედგება ფულადი სარგოსა და კანონმდებლობით დადგენილი სხვა დანამატებისაგან.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივლისის დადგენილება №455 – ვებგვერდი, 18.07.2014წ.

6. სამხედრო მოსამსახურეს პენსია ენიშნება საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7. სამხედრო მოსამსახურე კონტრაქტის ვადის გასვლამდე სამხედრო სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. უცხო ქვეყნის მოქალაქე საქართველოს სამხედრო სამსახურში ჩარიცხვისას კისრულობს შემდეგ წერილობით ვალდებულებას:

„მე



სახელი, მამის სახელი და გვარი

შევდივარ რა საქართველოს სამხედრო სამსახურში, ვკისრულობ ვალდებულებას, პირნათლად მოვიხადო მხედრული ვალი, კეთილსინდისიერად შევისწავლო სამხედრო საქმე, მტკიცედ დავიცვა სამხედრო დისციპლინა, შევინახო ჩემთვის მონდობილი სამსახურებრივი საიდუმლოება, შევასრულო საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, საერთო-საჯარისო წესდებების მოთხოვნები და მეთაურის (უფროსის) ბრძანება, მტკიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო საქართველოს ინტერესების დასაცავად.

„_____“

(თარიღი, თვე, წელი) (ხელმოწერა)“.

9. ამ თავით დადგენილი პროცედურები ვრცელდება აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეზე, რომლის საქართველოს სამხედრო სამსახურში ჩარიცხვა ხდება საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს პრემიერმინისტრის გადაწყვეტილებით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

თავი X

ოფიცერთა შემადგენლობის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესი

1. ოფიცერთა შემადგენლობა, მათი სამხედრო წოდებები, სამხედრო სამსახურში გაწვევა, თანამდებობებზე დანიშვნა, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა, უფლება-მოვალეობანი და სოციალური გარანტიები განსაზღვრულია საქართველოს კანონებით „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“, ამ დებულებით და საერთო-საჯარისო წესდებებით.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ოფიცერთა შემადგენლობის დაკომპლექტება ხდება:

ა) სამხედრო მოსამსახურეებით, რომლებმაც დაამთავრეს სამხედრო სასწავლებლები და მიიღეს ოფიცრის სამხედრო წოდება;

ბ) სამხედრო მოსამსახურეებით, რომლებმაც გაიარეს სამხედრო მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში ან სასწავლო შეკრებებზე და მიენიჭათ ოფიცრის სამხედრო წოდება;

გ) კონტრაქტის საფუძველზე მიწვეული ოფიცრებით;

დ) სხვა ძალოვანი სტრუქტურებიდან გადაყვანილი ოფიცრებით;

ე) რეზერვიდან გაწვეული ოფიცრებით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

3. ოფიცრების შემადგენლობის, მათ შორის, უმაღლესი სამხედრო წოდების მქონე პირების, სამხედრო სამსახურში ჩარიცხვა ხდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის, შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის ან მათ მიერ უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 ივნისის დადგენილება №264 - ვებგვერდი, 07.06.2019წ.

4. სამხედრო სამსახურიდან დასათხოვ ოფიცერს ზღვრული ასაკის, ავადმყოფობის გამო, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით დათხოვნის წინ შეიძლება მიეცეს კუთვნილი შვიტულება ან/და მოთხოვნის შემთხვევაში გაიგზავნოს სამხედრო-სამედიცინო კომისიაზე



სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად. ოფიცრის თანამდებობიდან გადაყენება კადრების განკარგულებაში გადაყვანით ან მის მიერ თანამდებობის დროებით მოვალეობის შესრულება არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს.

5. ოფიცრებს, რომლებმაც იმსახურეს უცხო სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში, შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოებში სამხედრო სამსახურის პერიოდი ეთვლებათ სამხედრო სამსახურად ბრძოლებში მონაწილეობისა და რთულ პირობებში სამსახურისათვის ნამსახურობის წელთა დანამატის გათვალისწინებით და მათზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი შეღავათები.

6. ოფიცერს და საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლევათ შვებულებები. იმ შემთხვევაში, თუ ოფიცერმა და საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურემ ვერ ისარგებლეს მორიგი შვებულებით, მათ, პირდაპირი უფროსის ნებართვით, ეძლევათ გასული წლის შვებულებით სარგებლობის უფლება მომდევნო წლის პირველ კვარტალში.

7. სამხედრო ნაწილებისა და მართვის ორგანოების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების მიზნით არ შეიძლება ერთდროულად ოფიცერთა და საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა შემადგენლობაში შემავალი პირების ერთ მესამედზე მეტის შვებულებაში გაშვება.

8. ოფიცერთა და საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა გამოძახება შვებულებიდან დასაშვებია მხოლოდ უკიდურესი სამსახურებრივი აუცილებლობით, პირდაპირი უფროსის ბრძანებით. ამ შემთხვევაში შვებულების გამოუყენებელი ნაწილი მათ, როგორც წესი, მიეცემათ მიმდინარე წელს.

9. ოფიცრებსა და საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს ეძლევათ მოკლევადიანი შვებულება 10 დღის ვადით წელიწადში ერთხელ, რომელიც არ ჩაითვლება მორიგი შვებულების ანგარიშში.

10. შვებულება ავადმყოფობის გამო ოფიცრებს ეძლევათ სამხედრო-სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე. შვებულების ხანგრძლივობა ავადმყოფობის გამო დამოკიდებულია დაავადების ხასიათზე, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს. ეს ვადა შეიძლება ორი თვით გაგრძელდეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან სხვა სამხედრო უწყების ხელმძღვანელის ბრძანებით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სამხედრო-სამედიცინო კომისია წყვეტს სამხედრო სამსახურისთვის ოფიცრის ვარგისიანობის საკითხს. შვებულება ავადმყოფობის გამო მორიგი შვებულების ანგარიშში არ ჩაითვლება.

11. ოფიცერ ქალებს შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ეძლევათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო მორიგი შვებულების ანგარიშში არ ჩაითვლება.

12. ოფიცერი შეიძლება სამხედრო სამსახურს გადიოდეს სხვადასხვა თანამდებობაზე აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში. ამ შემთხვევაში სამსახურის პერიოდი ითვლება ნამსახურობის საერთო სტაჟში.

13. ამ თავის მიზნებისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან მიმართებაში კონტრაქტის შესრულების ადგილად ითვლება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ის ქვედანაყოფი, რომელშიც სამსახურს გადის სამხედრო მოსამსახურე.

14. ამ თავში მითითებული სამხედრო მოსამსახურეების სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XI

ატესტაცია

1. ოფიცერთა კადრების სწორი შერჩევისა და განაწილების უზრუნველყოფის მიზნით, იმართება



ოფიცერთა ატესტაცია.

2. ატესტაციის დროს ობიექტური შეფასება ეძლევა თითოეული ოფიცრის საქმიან და პიროვნულ თვისებებს, განისაზღვრება მისი შესაბამისობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან და მისი სამსახურებრივი პერსპექტივა, ხდება სამსახურში დასაწინაურებელ კანდიდატურათა გამოვლენა.

3. ოფიცერთა ატესტაციას წინ უძღვის მოსამზადებელი სამუშაო (საორგანიზაციო და აღმზრდელი ღონისძიებები, ინდივიდუალური საუბრები და სხვ.).

4. მშვიდობიან დროს ატესტაცია ეწყობა სამ წელიწადში ერთხელ. მთლიანად ოფიცერთა შემადგენლობის ან მისი ცალკეული კატეგორიების ატესტაცია შეიძლება გაიმართოს სხვა ვადებში. უფროსები, რომლებიც აწყობენ თავიანთი ხელქვეითების ატესტაციას, პირადად აგებენ პასუხს ატესტაციის ობიექტურობისათვის, მისი დასკვნებისა და რეკომენდაციებისათვის.

5. ატესტაციის შედეგებს უშუალო უფროსები უცხადებენ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც გაიარეს ეს ატესტაცია. საჩივარი ატესტაციის წესის დარღვევისა და მისი არაობიექტურობის გამო შეიძლება შეტანილ იქნეს დადგენილი წესით მისი გამოცხადებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. საბოლოო გადაწყვეტილებას საჩივართან დაკავშირებით იღებს ის პირი (უფროსი), რომელმაც დაამტკიცა ატესტაცია. საჩივრის საფუძვლიანობის შემთხვევაში, ატესტაციაში შეაქვთ შესაბამისი ცვლილებები ან იმართება ახალი ატესტაცია.

6. პირდაპირი უფროსები ოფიცრებისაგან უნდა ითხოვდნენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და დახმარებას უწევდნენ მათ ამ საქმეში, აგრეთვე, უნდა უზრუნველყოფდნენ საატესტაციო დასკვნების რეალიზაციას.

თავი XII

ატესტაცია საქართველოს თავდაცვის მინისტროში

1. სამხედრო მოსამსახურის ატესტაცია არის სამხედრო მოსამსახურის პროფესიული უნარებისა და ჩვევების, კვალიფიკაციის (განათლება და გამოცდილება), გაწეული პროფესიული საქმიანობისა და ფსიქოლოგიური/ინტელექტუალური შესაძლებლობების თანამდებობრივ და/ან წოდებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. ყოველი სამხედრო თანამდებობისთვის/წოდებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ატესტაციას სამხედრო მოსამსახურე შეიძლება დაექვემდებაროს:

ა) 3 კალენდარულ წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდი), მიუხედავად იმისა, რა პერიოდია გასული სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურში ბოლო გაწვევიდან, ასევე, მნიშვნელობა არ ენიჭება 3 კალენდარული წლის განმავლობაში რა პერიოდი აქვს სამხედრო მოსამსახურეს ნამსახურები;

ბ) სამსახურებრივი დაწინაურებისას.

3. ატესტაციას არ ექვემდებარება:

ა) სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) უმაღლესი ოფიცრის წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურე;

გ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურე.

4. ატესტაციის ჩატარების ვადებს განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ატესტაციის ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე. სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ატესტაციის ჩატარების დროს იმყოფება შვებულებაში (მათ შორის, სამკურნალო შვებულებაში), დროებით შრომისუუნარობის ფურცელზე ან მივლინებაში, ატესტაციას ექვემდებარება სამსახურში გამოსვლის დღიდან არანაკლებ 2



კვირის შემდეგ.

5. სამხედრო მოსამსახურეთა ატესტაციას ახორციელებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია (კომისიები). შესაძლებელია პროფესიული ან ტერიტორიული პრინციპის მიხედვით განისაზღვროს საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა.

6. საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნენ დამოუკიდებელი სპეციალისტები ანაზღაურებისა და ხმის უფლების გარეშე მათი თანხმობით.

7. ატესტაცია შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ფორმით: ტესტირება, წერიტი დავალება ან/და გასაუბრება.

8. ატესტაციის ჩატარების ფორმატს, ტესტირების მეთოდს და თემატიკას, სამხედრო მოსამსახურის მიერ დაკავებული თანამდებობის სპეციფიკისა და/ან წოდების გათვალისწინებით, განსაზღვრავს საატესტაციო კომისია. ატესტაციის თემატიკა ატესტაციის ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას ან პირადად გაეცნოს ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს.

9. გასაუბრების პროცესში, დაკავებულ თანამდებობასა და/ან მინიჭებულ წოდებასთან მოხელის შესაბამისობის დადგენის მიზნით, საატესტაციო კომისია ისმენს მოსამსახურის ანგარიშს მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ამოწმებს მის პროფესიულ დონესა და კვალიფიკაციას სამსახურებრივ მოვალეობასა და/ან მინიჭებულ წოდებასთან მიმართებით.

10. ატესტაციაზე არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით სამხედრო მოსამსახურე ექვემდებარება ამ თავის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეფასებას.

11. საატესტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის სხდომაზე თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომას უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.

12. საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმა.

13. საატესტაციო კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

14. საატესტაციო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

15. ატესტაციის შედეგების მიხედვით საატესტაციო კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი შინაარსის დასკვნა:

ა) სამხედრო მოსამსახურე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და/ან მინიჭებულ წოდებას და ექვემდებარება დაწინაურებას;

ბ) სამხედრო მოსამსახურე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და/ან მინიჭებულ წოდებას;

გ) სამხედრო მოსამსახურე არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და/ან მინიჭებულ წოდებას.

16. საატესტაციო კომისია ვალდებულია თითოეული სამხედრო მოსამსახურის ატესტაციის შედეგების შესახებ მოამზადოს დასკვნა, რომელიც ფორმდება სხდომის ოქმით და მათ ხელს აწერენ დამსწრე კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

17. ატესტაციის შედეგები შეტანილი უნდა იქნეს საატესტაციო ფურცელში, რომელსაც ხელს აწერენ საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე და წევრები. ატესტაციის შედეგები წარმოადგენს პერსონალურ



ინფორმაციას. საატესტაციო ფურცლის ნიმუშს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

18. სამხედრო მოსამსახურე ეცნობა საატესტაციო ფურცელს, რასაც ადასტურებს ხელმოწერით. ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ფურცელს სამსახურის მიერ უკეთდება შესაბამისი მინაწერი. მოსამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში, მას გადაეცემა საატესტაციო ფურცლის ასლი.

19. ამ თავის მე-16 და მე-18 პუნქტებში მითითებული სხდომის ოქმი და საატესტაციო ფურცელი არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მათი გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ მათ საფუძველზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან მისგან უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებასთან ერთად.

20. ატესტაციის შედეგების შესახებ საატესტაციო კომისია მოახსენებს საქართველოს თავდაცვის მინისტრს. საატესტაციო კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, ატესტაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 6 თვის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის მინისტრს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) ამ თავის მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურის დაწინაურების შესახებ;

ბ) ამ თავის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ბ.ა) სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ; ან

ბ.ბ) სამხედრო წოდების ერთი საფეხურით დაქვეითების ან/და სამხედრო მოსამსახურის თანამდებობრივი დაქვეითების შესახებ.

თავი XIII

სამხედრო სამსახურის გავლის თავისებურებანი საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს

1. სამხედრო მოსამსახურეები საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს სამხედრო სამსახურს გადიან არსებული სამართლებრივი აქტების შემდეგი თავისებურებების გათვალისწინებით:

ა) ჩერდება ყველა სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებამდე;

ბ) წყდება ყველა სახის შვებულებები (გარდა შვებულებისა ავადმყოფობის, ორსულობისა და მშობიარობის გამო). შვებულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები ვალდებული არიან სასწრაფოდ დაუბრუნდნენ სამსახურის გავლის ადგილებს;

გ) მობილიზაციის გამოცხადებისთანავე, რეზერვში მყოფი მოქალაქენი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ სამობილიზაციო მიწერილობის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივლისის დადგენილება №455 – ვებგვერდი, 18.07.2014წ., საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მარტის დადგენილება №190 – ვებგვერდი, 25.03.2020წ.

2. სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც შვებულებიდან ან მივლინებიდან არასაკმატო მიზეზით დროულად არ დაბრუნდებიან სამსახურში, რეზერვისტები, რომლებიც თავს აარიდებენ მობილიზაციის დროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამის სამსახურებში გამოცხადებას, პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივლისის დადგენილება №455 – ვებგვერდი, 18.07.2014წ.

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ოფიცრებით დაკომპლექტება საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს ხორციელდება:

ა) სამხედრო სამსახურში გაწვეული ოფიცრებით;



ბ) სამხედრო მოსამსახურეებით, რომლებმაც დაამთავრეს სამხედრო სასწავლებლები და მიიღეს ოფიცრის წოდება;

გ) სამხედრო სამსახურში გაწვეული ქალებით, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამხედრო სპეციალობის მონათესავე უმაღლესი განათლება ან საშუალო სპეციალური განათლება და მიენიჭათ ოფიცრის წოდება.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

4. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეებს შეიძლება მიეცეთ მოკლევადიანი შვებულება 10 დღის ვადით, მგზავრობისათვის საჭირო დროის ჩაუთვლელად.

5. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს ავადმყოფი სამხედრო მოსამსახურის მკურნალობა გრძელდება სამკურნალო დაწესებულებებში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სამხედრო-სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე, სამხედრო ნაწილის მეთაურს უფლება აქვს სამხედრო მოსამსახურეს მისცეს შვებულება 30 დღის ვადით, რომლის გასვლის შემდეგ სამხედრო-სამედიცინო კომისიის დასკვნით შვებულება შეიძლება გაუგრძელოს ამავე ვადით, ხოლო გარკვეული სამედიცინო მაჩვენებლების არსებობისას, შვებულება შეიძლება გაუგრძელდეს კიდევ ერთხელ. ავადმყოფობის გამო შვებულების საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, სამხედრო-სამედიცინო კომისიას გამოაქვს დასკვნა სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის შესახებ.

6. სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც სამხედრო-სამედიცინო კომისიის მიერ ცნობილი არიან სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნით, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი იქნებიან ავადმყოფობის გამო სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნით. ის პირები, რომლებიც უვარგისი არიან სამხედრო სამსახურისათვის და ექვემდებარებიან გადამოწმებას 6 ან 12 თვის გასვლის შემდეგ, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი იქნებიან რეზერვში ავადმყოფობის გამო.

თავი XIV

ზღვრულ ასაკს მიღწეულ სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სამსახურის გავლის თავისებურებანი

სამხედრო მოსამსახურეებისათვის სამხედრო სამსახურის ზღვრული ასაკის გაგრძელების საკითხი რეგულირდება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თავი XV

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მიერ სამშვიდობო ძალებში სამსახურის გავლის სპეციალური წესები

1. ამ თავში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შეიარაღებული კონფლიქტის ზონა – საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ის ტერიტორია, სადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების წარმომადგენლები წარგზავნილები არიან საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად, აგრეთვე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია და მის მიმდებარედ არსებული უსაფრთხოების ზონა;

ბ) სამშვიდობო ოპერაციები – მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და/ან აღდგენის ოპერაციები;

გ) სამშვიდობო ძალები – სამშვიდობო ოპერაციების განსახორციელებლად შექმნილი სამხედრო დანაყოფები (ოცეული, ასეული, ბატალიონი, ბრიგადა და სხვა) და სამშვიდობო ძალების შტაბი (მათ შორის, სამშვიდობო ძალების წარმომადგენლობები).



2. სამხედრო დანაყოფი, რომელსაც დაეკისრება სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების ვალდებულება, იქმნება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული რიცხოვნობისა და ჯარის სახეობების ფარგლებში. მითითებულ ბრძანებაში აისახება დანაყოფის რიცხოვნება და მისი დაკომპლექტების წესი, ამ დანაყოფის დანიშნულების ადგილი და უფლებამოსილების პერიოდი. დანაყოფის შემადგენლობის როტაცია ხდება პერიოდის დასრულებისთანავე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

3. სამშვიდობო ძალებში მყოფ სამხედრო მოსამსახურეს შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში ყოფნის პერიოდის განმავლობაში ნამსახურობის ერთი დღე ჩაეთვლება ორ დღედ. ეს პერიოდი გამოითვლება შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, დასვენებისა და უქმე, აგრეთვე, ზონაში გამგზავრებისა და ზონიდან დაბრუნების დღეების ჩათვლით.

4. სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურის შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში გამგზავრება, როგორც წესი, ხდება მისთვის სამსახურის გავლის ადგილად შეიარაღებული კონფლიქტის ზონის განსაზღვრის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო სამშვიდობო ძალების შტაბის წარმომადგენლების გამგზავრება – მივლინების საფუძველზე.

5. ამ თავის მე-3 პუნქტში მითითებული სამხედრო მოსამსახურეების ფულადი ანაზღაურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XVI

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მივლინების, შრომის ანაზღაურების, სამუშაო დროის და სამსახურის გავლის სხვა თავისებურებანი

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყველა სახის სამხედრო მოსამსახურის მივლინება ხდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამ დებულებით ან საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული თანამდებობის პირის აქტით. მივლინების ბრძანებით განისაზღვრება მივლინების ვადა, მივლინების პერიოდში სადღეღამისო ნორმა, სასურსათო კმაყოფაზე აყვანის, მგზავრობისა და განთავსების საკითხი.

2. თუ მივლინების ბრძანებით განსაზღვრულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის ობიექტში ფულად ან/და სასურსათო კმაყოფაზე დადგომის ან/და განთავსების საკითხი, სამხედრო მოსამსახურეს არ აუნაზღაურდება შესაბამისი სამივლინებო (სადღეღამისო ან/და საცხოვრებელი ფართის დაქირავებასთან დაკავშირებული) ხარჯები. ეს პუნქტი არ ვრცელდება სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებზე.

3. გარდა მივლინების ბრძანებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სამხედრო მოსამსახურის ფულად, ასევე, სხვა სახის კმაყოფაზე დადგომა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამხედრო მოსამსახურე შესაბამისი თანამდებობის პირის ბრძანებით დაინიშნება თანამდებობაზე ან ჩაირიცხება სამხედრო ნაწილში. დანიშნულ სამხედრო მოსამსახურეს ფულადი ანაზღაურება მიეცემა შესაბამისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულების დღიდან, რაზეც გამოიცემა უშუალო უფროსის ან მეთაურის ბრძანება. ბრძანებაში უნდა აისახოს სამხედრო მოსამსახურის სამსახურის ადგილზე გამოცხადებისა და მის მიერ სამხედრო სამსახურის ფაქტობრივად დაწყების თარიღი.

4. სამხედრო მოსამსახურის სამუშაო დროის ხანგრძლივობა და პერიოდი, აგრეთვე, მის განსაზღვრაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სამხედრო ქვედანაყოფებში და ამავე აქტით განსაზღვრულ დროის პერიოდში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ



სამხედრო მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება 3 დღე-ღამეში ერთხელ, 24 საათით გამოცხადდეს სამხედრო ნაწილში სამხედრო ვალდებულების შესასრულებლად.

6. სამხედრო სამსახურის ნამსახურობის წლები (სტაჟი) მოიცავს:

ა) სამხედრო თანამდებობაზე ყოფნის პერიოდს;

ბ) სამხედრო შეკრებებზე ყოფნის პერიოდს (მათ შორის, სარეზერვო სამსახურის გავლის ხანგრძლივობას);

გ) საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის სამხედრო სასწავლებელში სწავლის პერიოდს (კურსანტი, მსმენელი), აგრეთვე, სასწავლებლად საზღვარგარეთ გრძელვადიანი მივლინებით ყოფნის პერიოდს;

დ) სსრკ-ს ჯარში სამსახურის პერიოდს 1991 წლის 21 დეკემბრამდე;

ე) სხვა უწყებაში სპეციალური სამსახურის გავლის პერიოდს, თუ სპეციალური წოდება გათანაბრდა სამხედრო წოდებასთან და სპეციალური წოდებით ნამსახურები წლები ჩაითვალა სამხედრო სამსახურის სტაჟში;

ვ) სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდს უწყებებში (ორგანიზაციებში), რომლებშიც სამსახურის გავლა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ითვლება/ითვლებოდა სამხედრო სამსახურად;

ზ) სამხედრო მოსამსახურის შვებულებაში (მათ შორის, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო) ყოფნის პერიოდს;

თ) კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდს, მაგრამ კადრების განკარგულებაში თითოეული გადაყვანისას არა უმეტეს 4 თვის პერიოდისა.

7. სამხედრო მოსამსახურისათვის დგინდება არანორმირებული სამუშაო დრო შემდეგ შემთხვევებში:

ა) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

ბ) წვრთნების პერიოდში;

გ) საყარაულო განწესის დროს;

გ¹) საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისათვის;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. სამხედრო მოსამსახურის სასურსათო კმაყოფაზე აყვანისა და კმაყოფიდან მოხსნის პროცედურებს შეიმუშავებს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, რომელსაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.“;

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

9. სამხედრო მოსამსახურეს (მათ შორის, სამხედრო სავალდებულო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეს), სამხედრო-სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე:

ა) ეძლევა შვებულება ავადმყოფობის გამო, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება სხეულის დაზიანების სიმძიმის ან დაავადების ხასიათის გათვალისწინებით და რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან მის მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირის ბრძანებით ავადმყოფობის გამო შვებულება შეიძლება, გაგრძელდეს 2 თვემდე ვადით;

ბ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამხედრო მოსამსახურეს დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში ეძლევა შვებულება ავადმყოფობის გამო სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის, აგრეთვე სარეაბილიტაციო მკურნალობის (მათ შორის, სამკურნალო



დაწესებულებამდე და უკან მგზავრობის) ვადით. ამ შემთხვევაში შვებულების მთლიანი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 18 თვეს;

გ) საომარი მდგომარეობის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ან სხვა სახის სამშვიდობო ოპერაციებში, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენებში მონაწილეობის დროს დაჭრილ ან დასახიჩრებულ სამხედრო მოსამსახურეს ეძლევა ავადმყოფობის გამო შვებულება 160 თვის ვადით.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №546 - ვებგვერდი, 13.12.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №501 - ვებგვერდი, 24.11.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 - ვებგვერდი, 18.12.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №623 - ვებგვერდი, 20.12.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №762 - ვებგვერდი, 22.12.2020წ.*

9¹. ამ თავის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შვებულების ვადის გასვლის შემდეგ, სამხედრო-სამედიცინო კომისია წყვეტს სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის საკითხს. აღნიშნული შვებულება მორიგი კუთვნილი შვებულების ანგარიშში არ ჩაითვლება. ავადმყოფობის გამო შვებულებაში ყოფნისას:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურის სტაციონარულ და ამბულატორიულ მკურნალობას, აგრეთვე სარეაბილიტაციო მკურნალობას, სამკურნალო დაწესებულებამდე და უკან ტრანსპორტირებას საკუთარი ხარჯებითა და საშუალებებით. თუ შეუძლებელია სამხედრო მოსამსახურის მკურნალობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საშუალებებით, სამხედრო ნაწილებსა და სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებებში სამხედრო მოსამსახურის მკურნალობისა და ტრანსპორტირების (მათ შორის, უცხო ქვეყანაში) ხარჯებს ანაზღაურებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში. მკურნალობით უზრუნველყოფა მოიცავს აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების მიერ პირის ნორმირებული კვებით უზრუნველყოფას;

ბ) თანმხლები/მომვლელი პირის ხარჯები ანაზღაურდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი ოდენობით;

გ) სამხედრო მოსამსახურეს უნარჩუნდება:

გ.ა) ფულადი სარგო და დანამატები (არსებობის შემთხვევაში), თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

გ.ბ) კვების კომპენსაცია.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №623 - ვებგვერდი, 20.12.2019წ.

10. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შედეგად დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში:

ა) სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვეულ პირზე ვრცელდება ამ თავის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დებულებები (მათ შორის, მკურნალობის ვადებისა და მათი გაგრძელების თაობაზე), გარდა შვებულებასთან დაკავშირებული და ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დებულებებისა;

ბ) თუ საკონტრაქტო (პროფესიული) ან კადრის სამხედრო მოსამსახურესთან გაფორმებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) მოქმედების ვადა ამ თავის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში ამოიწურა ან სამხედრო მოსამსახურე მიაღწევს ზღვრულ ასაკს, ხელშეკრულების (კონტრაქტის) მოქმედების ვადა ან ზღვრული ასაკი შეიძლება გაგრძელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ თავის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ვადით;

გ) სამხედრო სავალდებულო სამსახურის სამხედრო მოსამსახურის ავადმყოფობის გამო შვებულებაში ყოფნის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს მისი სამხედრო სამსახურში ყოფნის ვადას. ამასთან, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, მასზე ვრცელდება ამ თავის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დებულებები (მათ შორის, მკურნალობის ვადებისა და მათი გაგრძელების თაობაზე), გარდა შვებულებასთან დაკავშირებული და ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული



დებულებებისა.

11. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, სამხედრო მოსამსახურის, გარდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის სამხედრო მოსამსახურისა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ავადმყოფობის გამო გათავისუფლება არა უმეტეს 7 დღის ვადით არ საჭიროებს სამხედრო-სამედიცინო კომისიის დასკვნას.

12. პირი სამხედრო სამსახურში გაიწვევა და სამხედრო სამსახურიდან დაითხოვება შემდეგი თანამდებობის პირების მიერ:

ა) სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოსამსახურე – საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის ან მისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ (გარდა გაწვევისა);

ბ) საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო სამსახურის მოსამსახურე, მათ შორის, უმაღლესი სამხედრო წოდების მქონე პირები – საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან მისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ;

გ) (ამოღებულია - 06.06.2019, №264).

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 ივნისის დადგენილება №264 - ვებგვერდი, 07.06.2019წ.

13. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან მისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უფლებამოსილი თანამდებობის პირის ბრძანებით ხორციელდება:

ა) სამხედრო მოსამსახურის სხვა თანამდებობაზე (გარდა თავდაცვის ძალების მეთაურისა) გადაადგილება (დანიშვნა/გათავისუფლება, დაწინაურება/დაქვეითება);

ბ) სამხედრო მოსამსახურის თანამდებობაზე დროებით არყოფნისას მისი მოვალეობების სხვა სამხედრო მოსამსახურეზე დაკისრება, გარდა ამ თავის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 ივნისის დადგენილება №264 - ვებგვერდი, 07.06.2019წ.

14. საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის დროებით არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის პირველი მოადგილე ან საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის გადაწყვეტილებით – მისი რომელიმე მოადგილე.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

15. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით შეიძლება განისაზღვროს:

ა) სამხედრო მოსამსახურის თანამდებობაზე სამსახურის ვადა, რომლის ამოწურვის შემდეგ იგი დაექვემდებარება სხვა თანამდებობაზე გადაადგილებას;

ბ) სამხედრო მოსამსახურის სხვა თანამდებობაზე გადაადგილების წესი და პირობები;

გ) სამხედრო მოსამსახურეების იარაღიდან სროლის და ფიზიკური ნორმატივები, მათი ჩაბარების წესი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივლისის დადგენილება №455 – ვებგვერდი, 18.07.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 თებერვლის დადგენილება №45 – ვებგვერდი, 04.02.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №75 – ვებგვერდი, 15.02.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის დადგენილება №277 - ვებგვერდი, 29.06.2016წ.

16. ამ თავის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმატივების ჩაუბარებლობა წარმოადგენს სამსახურებრივი შეუსაბამობისათვის სამხედრო მოსამსახურის (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურეებისა) სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს.

17. იმ შემთხვევაში, თუ:



ა) იუნკერს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი, სამინისტრო შეწყვეტს მასთან გაფორმებულ კონტრაქტს, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) იუნკერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გაირიცხება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 მარტის №124 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდების“ მე-13 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სამინისტრო, სამხედრო სამსახურის საჭიროებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

18. სამინისტროს მიერ ამ თავის მე-17 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების დღიდან, სამხედრო მოსამსახურეზე ვრცელდება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1⁴ პუნქტით განსაზღვრული იმ კონტრაქტის პირობები, რომელიც უფორმდება საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეებს სამინისტროს მიერ ამ თავის მე-17 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების დღეს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის დადგენილება №277 - ვებგვერდი, 29.06.2016წ.

19. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შეიძლება გაიგზავნოს სამხედრო-სამედიცინო კომისიაზე სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მაისის დადგენილება №277 - ვებგვერდი, 01.06.2018წ

20. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურის, მათ შორის, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული პირის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების საკითხები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

თავი XVII

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო სამსახურის (გარდა სავალდებულო სამხედრო მოსამსახურისა) გავლის ზოგიერთი თავისებურებანი

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

1. სამხედრო მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანა ხორციელდება სტრუქტურულ ქვედანაყოფში მიმდინარე რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებისას (მათ შორის, შტატით განსაზღვრული თანამდებობის გაუქმებისას). სამხედრო მოსამსახურე კადრების განკარგულებაში გადაიყვანება იმ თანამდებობის პირის მიერ, რომლის უფლებამოსილებასაც წარმოადგენს შესაბამისი საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობის დამტკიცება ან გაუქმება.

2. ეს დებულება არ ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების, მათ შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეთა კადრების განკარგულებაში გადაყვანასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნული მოსამსახურეების კადრების განკარგულებაში გადაყვანა და მასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

3. სამხედრო სამსახურიდან ავადმყოფობის გამო დასათხოვი სამხედრო მოსამსახურე იგზავნება სამხედრო-სამედიცინო კომისიაზე სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად. ზღვრული ასაკის მიღწევის ან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით დასათხოვი ან დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურე იგზავნება სამხედრო-სამედიცინო კომისიაზე სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად მისი მოთხოვნის შემთხვევაში.

4. კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს. აღნიშნული ვადის ამოწურვამდე კადრების განკარგულებაში ყოფნის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უნდა დაინიშნოს შესაბამის თანამდებობაზე ან დათხოვნილ იქნეს სამხედრო სამსახურიდან. თუ აღნიშნული ვადის ამოწურვისას სამხედრო მოსამსახურე არ დაინიშნება შესაბამის თანამდებობაზე, საქართველოს



თავდაცვის სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დათხოვნის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, მოსამსახურე ითვლება დათხოვნილად აღნიშნული ვადის ამოწურვიდან მეორე დღეს.

5. რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით სამხედრო მოსამსახურის დათხოვნის შემთხვევაში, მისი კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები. სამხედრო მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანა იმავდროულად წარმოადგენს გაფრთხილებას სამხედრო სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის შესახებ.

6. სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის ან ავადმყოფობის გამო დათხოვნა არ საჭიროებს მოსამსახურის გაფრთხილებას შესაძლო დათხოვნის შესახებ.

6¹. პირადი სურვილით ან პირადი განცხადებით სამხედრო სამსახურის შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება პირის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ მიიღება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 მაისის დადგენილება №253 – ვებგვერდი, 30.05.2017წ.

6². ამ თავის 6¹ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე სამხედრო მოსამსახურე არ თავისუფლდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ვალდებულებისაგან, გარდა დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზების (სამხედრო მოსამსახურის ან „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა ან ახლო ნათესავის გარდაცვალება, სხვა სახელმწიფოში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩევა ან დანიშვნა ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სამხედრო მოსამსახურის მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულებას) არსებობისა.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 მაისის დადგენილება №253 – ვებგვერდი, 30.05.2017წ.

7. კადრების განკარგულებაში ყოფნისას სამხედრო მოსამსახურეს შეიძლება დაევალოს თანამდებობაზე დროებით არმყოფი სამხედრო მოსამსახურის ან ვაკანტურ სამხედრო თანამდებობაზე მოვალეობის შესრულება არა უმეტეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადით. დროებით მოვალეობის შესრულების პერიოდში მას მიეცემა აღნიშნული თანამდებობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ანაზღაურება.

8. სამხედრო მოსამსახურეს, თუ იგი დანიშნულია/მივლინებულია დროებით შტატზე, აგრეთვე, თუ მას დაკისრებული აქვს შვებულებაში, მივლინებაში ან სხვა კანონიერი საფუძვლით თანამდებობაზე დროებით არმყოფი სამხედრო მოსამსახურის თანამდებობისათვის, ან ვაკანტური სამხედრო თანამდებობისათვის დადგენილი მოვალეობანი, ანაზღაურება მიეცემა თავისი სამხედრო წოდების შესაბამისი წოდებრივი სარგოს მიხედვით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივლისის დადგენილება №455 – ვებგვერდი, 18.07.2014წ.

ა) ძირითადი შტატის თანამდებობის საშტატო კატეგორიისათვის განსაზღვრული ანაზღაურების ოდენობით;

ბ) დროებითი შტატის თანამდებობის ანალოგიური ძირითადი შტატის თანამდებობის საშტატო კატეგორიისათვის განსაზღვრული ანაზღაურების ოდენობით (თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), თუ სამხედრო მოსამსახურე დროებით შტატზე ინიშნება ძირითად შტატზე გადაყვანამდე ან სამხედრო სამსახურიდან დათხოვნამდე.

9. სამხედრო მოსამსახურის შვებულებაში, მივლინებაში ან სხვა კანონიერი საფუძვლით თანამდებობაზე დროებით არყოფნისას, დროებით არმყოფი მოსამსახურის თანამდებობაზე შეიძლება დანიშნულ ან გაწვეულ იყოს სხვა პირი, რომელიც სამხედრო სამსახურში მიიღება საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრული ვადით.

10. ნებისმიერი სახის შვებულებაში ან მივლინებაში ყოფნის დროს ან სხვა კანონიერი საფუძვლით თანამდებობაზე დროებით არყოფნისას სამხედრო მოსამსახურის მიერ დაკავებული შტატის



შემცირების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე ითვლება კადრების განკარგულებაში გადაყვანილად დროებით არყოფნის საფუძვლის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში მას შეეთავაზება შესაბამისი ვაკანტური თანამდებობა. შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის ან შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოსამსახურე ითვლება დათხოვნილად აღნიშნული ვადის ამოწურვიდან მეორე დღეს, რის შესახებაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირი გამოსცემს ბრძანებას. შეთავაზებაზე თანხმობის გამოხატვის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე ინიშნება ვაკანტურ თანამდებობაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ შესაბამისი ბრძანების გამოცემის დღიდან.

11. საქართველოს თავდაცვის მინისტრის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე სამსახურებრივი გადაადგილებისას სხვა თანამდებობის დაკავებამდე (შეთავაზებამდე) თავისუფლდება შესაბამისი თანამდებობიდან და გადაიყვანება კადრების განკარგულებაში. შეთავაზებული თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოსამსახურე დაითხოვება სამხედრო სამსახურიდან კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის ამოწურვისთანავე.

12. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი იქნება აღკვეთის ღონისძიების შეფარდებიდან მეორე დღეს. თუ აღნიშნული კატეგორიის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ სამხედრო მოსამსახურე ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, იგი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი იქნება ფაქტობრივად ნამსახურები პერიოდის მეორე დღიდან.

13. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურის მიმართ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება არ მიიღება ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების შემდეგ.

14. სამხედრო სამსახურში შეიძლება გაწვეულ იქნეს პირი, რომელიც ნასამართლევა სისხლის სამართლის ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

15. სამხედრო სამსახურში არ მიიღება პირი, რომელიც ნასამართლევა სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, თუ მას გაქარწყლებული ან მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა.

16. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) შედგება ფულადი სარგოსა და კანონმდებლობით დადგენილი სხვა დანამატებისაგან.

17. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის ფულადი სარგო შედგება წოდებრივი სარგოსაგან.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივლისის დადგენილება №455 – ვებგვერდი, 18.07.2014წ.

თავი XVII¹

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 მარტის დადგენილება №133 - ვებგვერდი, 23.03.2016წ.

სამსახურებრივი, თანამდებობრივი და წოდებრივი შეზღუდვები დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში

1. სამხედრო მოსამსახურე არ შეიძლება სამსახურებრივად და/ან წოდებრივად დაწინაურდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში.

2. საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში მყოფი ოფიცრები, რომელთა სამსახურის პერიოდში მიღებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის რაოდენობა აღემატება წახალისებათა რაოდენობას, კადრის სამსახურში არ მიიღებიან.

3. კადრის ოფიცრებს, რომელთა კადრის სამსახურის პერიოდში მიღებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის რაოდენობა აღემატება წახალისებათა რაოდენობას, არ მიენიჭებათ უმაღლესი სამხედრო წოდება და არ დაინიშნებიან თანამდებობაზე, რომლისთვისაც



გათვალისწინებულია უმაღლესი სამხედრო წოდების მინიჭება.

4. სამხედრო წოდების ერთი საფეხურით დაქვეითების მოქმედების განმავლობაში, სამხედრო მოსამსახურეს მიეცემა ამ წოდებისათვის განსაზღვრული წოდებრივი სარგო.

5. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი უფლებამოსილია, დისციპლინური წარმოებისას დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირი ჩამოაშოროს სამსახურს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 მარტის დადგენილება №133 - ვებგვერდი, 23.03.2016წ.

თავი XVII²

სამხედრო მოსამსახურისთვის სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში სამხედრო წოდების ვადამდე მინიჭება

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის დადგენილება №277 - ვებგვერდი, 29.06.2016წ.

1. სამხედრო მოსამსახურეს (გარდა რიგითებისა და კაპრალების შემადგენლობისა), „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადებისაგან განსხვავებით, სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში სამხედრო წოდება, განსაკუთრებული დამსახურებისათვის, შეიძლება ვადამდე მიენიჭოს, თუ სამხედრო მოსამსახურე აკმაყოფილებს მისანიჭებელი სამხედრო წოდებისათვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და უკავია ისეთი სამხედრო თანამდებობა, რომლისთვისაც შტატით გათვალისწინებულია მისანიჭებელი სამხედრო წოდების თანაბარი ან უფრო მაღალი სამხედრო წოდება.

2. სამხედრო მოსამსახურისთვის სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში სამხედრო წოდების ვადამდე მინიჭება დაუშვებელია, თუ მის მიმართ მოქმედებს ამ წესის XVII¹ თავის პირველი პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა.

3. ამ თავის მიზნებისათვის განსაკუთრებულ დამსახურებად ითვლება:

ა) სამხედრო მოსამსახურის საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი დაჯილდოება;

ბ) სამხედრო მოსამსახურის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების აღმშენებლობაში განსაკუთრებული წვლილის შეტანა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

თავი XVIII

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების, ფინანსური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების საფუძვლები და წესი

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №596 – ვებგვერდი, 18.12.2018წ.

1. სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ამ კონტრაქტით განსაზღვრული ოდენობის ფინანსური პასუხისმგებლობა წარმოიქმნება, თუ:

ა) სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ (გარდა ატესტაციის შედეგების გამო მოსამსახურის დათხოვნის შემთხვევებისა), „ე“, „ვ“, „ზ“ და „თ“ („თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დათხოვნისას კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, თუ კონტრაქტით სხვა რამ არ არის დადგენილი) ქვეპუნქტების საფუძველზე;

ბ) სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს სადისციპლინო წესდების საფუძველზე;



გ) სახეზეა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1² პუნქტით ან ამ დადგენილების VI თავის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის დადგენილება №277 - ვებგვერდი, 29.06.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მაისის დადგენილება №277 - ვებგვერდი, 01.06.2018წ

2. თუ სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს ან ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე:

ა) აღნიშნული ვალდებულება წყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა.ა) სამხედრო მოსამსახურის ან ყოფილი სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალებისას;

ა.ბ) თუ პირი დაბრუნდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში;

ა.გ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, თუ ფინანსური პასუხისმგებლობა წარმოქმნილია 2014 წლის 23 ნოემბრამდე და არ არის გადახდილი ან გადახდევინებული იძულებითი აღსრულების წესით;

ბ) ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე. იმ პირებს, რომლებსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე დაეკისრათ პირგასამტეხლოს გადახდა ამ ქვეპუნქტში მითითებულ ოდენობაზე მეტი ოდენობით, დაკისრებული პირგასამტეხლო უმცირდებათ სამხედრო მოსამსახურის ან ყოფილი სამხედრო მოსამსახურის ინიციატივით, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდში გაფორმებული მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში. აღნიშნული შეღავათი არ ვრცელდება უკვე გადახდილ თანხებთან დაკავშირებით;

გ) ფინანსური პასუხისმგებლობის გადახდის ვალდებულება გადავადდება/განწილვადდება და/ან შემცირდება, თუ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ან მის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უფლებამოსილი კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს მათ გადავადებას და/ან შემცირებას, იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხისმგებელი პირი აცხადებს თანხმობას, სასამართლოში დავის წარმართვის გარეშე ნებაყოფლობით გადაიხადოს შეთანხმებული თანხა და წარადგენს სათანადო უზრუნველყოფას;

დ) თუ პასუხისმგებელი პირი არის „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მას გადაუვადდება ფინანსური პასუხისმგებლობის გადახდა 2 წლით, მაგრამ არაუმეტეს საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსით ყოფნის ვადისა. ამ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადავადება შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ, ამასთან, ზედიზედ 4 წლის განმავლობაში მითითებული სტატუსის შენარჩუნების შემთხვევაში, პირი თავისუფლდება ფინანსური პასუხისმგებლობისაგან.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №652 – ვებგვერდი, 04.12.2014წ.

3. ამ თავის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, თუ დარღვეული კონტრაქტის საფუძველზე პირს წარმოექმნა სწავლებაზე დახარჯული თანხების საკომპენსაციო თანხების გადახდის ვალდებულება, იგი ამ ვალდებულებისაგან თავისუფლდება მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში დაბრუნებისას გაფორმებული კონტრაქტის სრული ვადით სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ.

4. ფინანსურ პასუხისმგებლობაში იგულისხმება:

ა) ამ თავის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის, აგრეთვე, გადახდის გადავადებისა და განწილვადების მიზნებისათვის – ჯარიმის, პირგასამტეხლოს, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის, სამინისტროს მიერ მოსამსახურის მომზადებაზე დახარჯული თანხის კომპენსაციის ან/და სწავლებაზე დახარჯული თანხების საკომპენსაციო თანხების გადახდის ვალდებულება;

ბ) ამ დებულების XIX თავის მე-2 პუნქტის, ამ თავის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების, აგრეთვე,



ფინანსური პასუხისმგებლობის შემცირების მიზნებისათვის – ჯარიმის, პირგასამტეხლოს, სამინისტროს მიერ მოსამსახურის მომზადებაზე დახარჯული თანხის კომპენსაციის ან/და სწავლებაზე დახარჯული თანხების საკომპენსაციო თანხების გადახდის ვალდებულება;

გ) ამ თავის მე-2 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის – ჯარიმის, პირგასამტეხლოს, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის (გარდა დანაშაულით ან განზრახი მოქმედებით მიყენებული ზიანისა), სამინისტროს მიერ მოსამსახურის მომზადებაზე დახარჯული თანხის კომპენსაციის ან/და სწავლებაზე დახარჯული თანხების საკომპენსაციო თანხების გადახდის ვალდებულება.

5. სამხედრო მოსამსახურისთვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე ან ყოფილი სამხედრო მოსამსახურე საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №652 – ვებგვერდი, 04.12.2014წ.

6. ამ თავის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოქმნილი ფინანსური ვალდებულებების ოდენობის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ წარმოქმნილი ვალდებულებების ოდენობის 1/4-მდე, ხოლო გადავადების/განწილვადების გრაფიკი არ შეიძლება იყოს 2 კალენდარულ წელზე მეტი. ჯარიმის თანხის შემცირება შესაბამისი პროპორციით იწვევს ჯარიმაზე დასარიცხი პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებას.

თავი XIX

გარდამავალი დებულებები

1. XVIII თავის (გარდა პირველი პუნქტისა) მოქმედება გავრცელდეს აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასავლელად 2009 წლის 2 აპრილამდე გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე წარმოქმნილ ფინანსურ ვალდებულებებზე.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასავლელად 2009 წლის 2 აპრილამდე გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ამ კონტრაქტში განსაზღვრული ფინანსური პასუხისმგებლობა არ წარმოიქმნება, ხოლო წარმოქმნილი ვალდებულება წყდება, თუ კონტრაქტი ვადამდე შეწყდა „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში.

3. ამ დებულების VI თავის მე-2 პუნქტისა და X თავის მე-13 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს აგრეთვე 2008 წლის პირველი ნოემბრიდან გაფორმებულ კონტრაქტებზე.

4. თუ საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც სამხედრო ვალდებულებას იხდიდა საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სახით, კონტრაქტი ვადამდე შეუწყდა თავისი ინიციატივით, თვითნებურად ან ბრალეულობით 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 22 ივნისამდე:

ა) სავალდებულო სამხედრო სამსახური მოხდილად ჩაეთვალოს, თუ:

ა.ა) იგი ჩაირიცხა სავალდებულო სამხედრო სამსახურში და მისი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვევიდან საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურში ნამსახურობისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვადების ჯამი არანაკლებია მისი გაწვევისას კანონით სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის დადგენილი 12 ან 18თვიანი ვადისა;

ა.ბ) იგი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან და ჩაირიცხა რეზერვში, თუ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მისი გაწვევიდან კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტამდე გასულია მისი გაწვევისას კანონით სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის დადგენილი 12 ან 18თვიანი ვადა;

ბ) აყვნილ იქნეს სამხედრო აღრიცხვაზე „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის



შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად და დაექვემდებაროს კანონით სამხედრო სავალდებულო სამსახურისათვის დადგენილი სრული ვადით სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას, თუ იგი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მისი გაწვევიდან კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტამდე, მისი გაწვევისას კანონით სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის დადგენილი 12 ან 18თვიანი ვადის გასვლამდე.

5. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ამ დებულების XVIII თავის მე-2 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცეს 2014 წლის 23 დეკემბრამდე.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის დადგენილება №652 – ვებგვერდი, 04.12.2014წ.

6. სამხედრო მოსამსახურეები ან ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები გათავისუფლდნენ სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის გამო ამ პუნქტის ამოქმედებამდე წარმოქმნილი ფინანსური პასუხისმგებლობისაგან, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც გაფორმებული აქვთ/ჰქონდათ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 10 ივნისის №421 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტი „ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აკადემიაში სასწავლებლად წარსაგზავნი/წარგზავნილი სამხედრო მოსამსახურეების სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

7. პირს, რომელსაც 2019 წლის 10 ივნისამდე „სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მსმენელის სტატუსის მოპოვების გარეშე პირობით სასწავლებლად მისაღებ პირებთან გასაფორმებელი კონტრაქტის ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 17 სექტემბრის №728 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტის ან „სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხ პირებთან გასაფორმებელი კონტრაქტის ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 17 სექტემბრის №729 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტის დარღვევის გამო დაეკისრა (მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) 28 000 ლარის ოდენობის ჯარიმა, ჯარიმის ოდენობა შეუმცირდეს:

ა) 1500 ლარამდე – I კურსზე ყოფნისას კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში;

ბ) 2500 ლარამდე – II კურსზე ყოფნისას კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში;

გ) 4000 ლარამდე – III კურსზე ყოფნისას კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში;

დ) 5000 ლარამდე – IV კურსზე ყოფნისას ან მის შემდგომ პერიოდში კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 მაისის დადგენილება №253 – ვებგვერდი, 30.05.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 ივნისის დადგენილება №264 - ვებგვერდი, 07.06.2019წ.

